

საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო დახასიათება

საბაკალავრო პროგრამის დასახელება - კომპიუტერული მეცნიერებები (Computer sciences);
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრი

კომპიუტერული მეცნიერება წარმოადგენს მეცნიერების იმ სფეროს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია არამარტო მეცნიერების რომელიმე სხვა სფეროს, არამედ ინდუსტრიის განვითარებაც. კომპიუტერული მეცნიერების მიღწევები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ადამიანის მოღვაწეობის და ყოფიერების ყველა სფეროში. დღესდღეობით წარმოუდგენელია ნებისმიერი დონის და მნიშვნელობის საწარმო-ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაც დაკავშირებული არ არის ამ სფეროსთან.

საბაკალავრო პროგრამის მიზანი – კურსდამთავრებულს მისცეს ცოდნა კომპიუტერული მეცნიერების ძირითადი ასპექტების შესახებ: დისკრეტული სტრუქტურები, ალგორითმები, დაპროგრამების საფუძვლები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მონაცემთა დამუშავება და მართვა და სხვ.

სწავლის შედეგი – საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამდავრებული დაეუფლება:

- ალგორითმების აგების მეთოდებს სხვადასხვა ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად;
- დაპროგრამების ენების გამოყენებას ალგორითმების რეალიზებისათვის პროგრამულ პაკეტად;
- მონაცემთა დამუშავების და ანალიზის მეთოდებს;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საქმიანობის სახვადასხვა სფეროში.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო თითქმის შეუზღუდავია. საინფორმაციო ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში.

სწავლის გაგრძელების საშუალება – კომპიუტერული მეცნიერება თავისი აქტუალურობით შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთ მიმართულებად, რომელიც აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს მეცნიერების ყველა სფეროსათვის – საბუნებისმეტყველო, მათემატიკა, ჰუმანიტარული, სოციალური, სიცოცხლის შემსწავლელი და სხვ. მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში უპირატესობა ენიჭებათ დარგთაშორის სამაგისტრო პროგრამებს ისეთებს როგორცაა: ბიოინფორმაცია, კომპიუტერული ფიზიკა, კომპიუტერული ქიმია, საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯმენტში და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო ხარისხის მქონე პიროვნებას შესაძლებლობა აქვს, სწავლა განაგრძოს არამარტო კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამით, არამედ მრავალ დარგთაშორის სამაგისტრო პროგრამითაც.